

1576

სანიტარული განეთლების  
გ ი ბ ლ ი თ თ ე კ ა

17

გ. ჯერი გვიათ მომავალი

ბ რ ე რ ი

1949

ს ა რ ე დ ე დ გ ა გ ი  
თ გ ი ლ ი ლ ი ს ი

୧. କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିବହନ

୯୩୦୩୦

(୧୯୫୦, ୧୯୫୦)

H 576  
/

୧୫. ୨୦୧୦ - ୩୧୭୪

୧୯୪୯  
୧୦୩୧୮୯୯୯୯୦  
୧୯୪୯



## რა იჭვევს ბლერს

კანის გადამდებ სწორებათა შორის უფრო ხშირად გვხვდება ბლერი.

ამ სწორებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. მაგალითად, რაჭაში მას ღიერს ეძახიან, ღერს უშმი და ქვემო იმერეთში—ბლიერს, გურიაში—ბლერს, ქართლ-კახეთში—მუნს, ხევში—ჭაბარას.

ბლერით დავადება ცნობილია უძველეს ღროიდნ. ჯერ კიდევ XII საუკუნეში ცნობილმა არაბმა ექიმმა აბენზოარმა, ხოლო მის შემდეგ სხვა ექიმებმა XIV საუკუნეში საქმაოდ კარგად აგვიწერეს ბლერის გამომწვევი მიზეზები. სწორედ მათ გამოარკვიეს, რომ ბლერი გადამდები სწორება.

XIX საუკუნეში მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს, რომ ბლერს იწვევს ადამიანის ოვალისათვის ძნელად შესამჩნევი ტკბა.

ტკბები ბულობენ მცენარეებზე, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებზე.

სოფლის მეურნეობის კულტურების ტკიპები არა თუ რაოდენობითად ამცირებენ მოსავალს, არამედ ხარისხობრივადაც აუარესებენ მას. მაგალითად, ვაზის ტკიპით დაზიანებული ვაზის ფოთოვლი ხმება, ციტრუსოვანი კულტურების ვერცხლისებრი ტკიბა ფოთლებისა და ნყოფის გამოწუწინით ანადგურებს ამ კულტურებს და სხვ.

ტკიპები დიდ ზიანს აყენებენ აგრეთვე ცხოველებსა და ფრინველებს.

შინაურ ცხოველებსა და ფრინველებში გავრცელებული ნაირ-სახეობის ტკბები იწვევენ მათ დაუძლურებას, სიგამხდრეს და ზოგჯერ დავარდნასაც კა.

მაგრამ განსაკუთრებული ზიანი ტკიპებს ადამიანისათვის მოჰქმდება. საქმაო ალინიშნის, რომ ისეთი გადამდები სწორებანი, როგორიცაა ტკიპისმიერი შებრუნებითი ტიფი, მარსელის ცხელე-

ბა, ცუცუუგმუში (იაპონური ციებ-ცხელება), გაზაფხულის ტკია-  
პისმიერი ენცეფალიტი (თავის ტვინის ანთება) და სხვ. გადააქვთ  
სხვადასხვა სახეობის ტკიპებს. ზოგჯერ მცენარის თუ ცხოველის  
ტკიპაც კი ძვირდრება აღმიანის სხეულზე. ასეთია, მაგალითად,  
ბაღისა და მინდვრის წითელი ტკიპა, რომელიც აღამიანის ხელის,  
ფეხის, სახის ან ყურის ბიბილოს არეში ღრმად ჩაერჩობა ხოლმე  
კანში და იწვევს ისეთ საშინელ ქავილს, რომ ავაღმყოფი ფრჩხია-  
ლით იქაწრავს სხეულის აღნიშნულ ნაწილებს. თუ ამ დროს მივ-  
მართავთ გამაღიდებელ შუშას, თმის ძირში დავინახავთ წითელ  
წერტილს, შშირად რამდენიმეს ერთად. ეს წითელი წერტილები  
ტკიპებია, რომელთაც წაუსვამენ ხოლმე იოდს ან მფბანენ ბენზი-  
ნით.

ისეც ხდება, რომ გემების მომსახურე პირებს, მეტადრე იმ  
გემებისას, რომლებითაც ხორბალი გადააქვთ, ზოგჯერ მასობრი-  
ვად გამოაჩნდებათ კვნიძოვანი ან ბუშტუკოვანი გამონაყარი ძლი-  
ერი ქავილით. ამასაც ტკიპის ერთერთი სახეობა იწვევს. ასეთ შემ-  
თხვევებში გამონაყარს მობანენ ხოლმე ჩვეულებრივი ძმით.

ყველას უნახავს ძალის ტკიპა, რომელიც გაზაფხულზე მოე-  
დება ამ შინაურ ცხოველს, უფრო ყურის შიგნით და სახეზე,  
სწოვს სისხლს და გაძრომისას ბურთივით დამრგვალდება. ამ სა-  
ხეობის ტკიპა სხვა შინაურ პირუტყვაც გაუჩნდება და ზოგჯერ  
აღამიანსაც კი. ასეთ შემთხვევაში საქმაოა პარაზიტს დავაწვეთოთ  
ერთი-ორი წვეთი საჭმელი ზეთი; ნავთი ან ბენზინი, რომ იგი მი-  
სით ჩამოვარდეს.

ქათმის და მტრედის ნაცრისფერი ტკიპის მიერ ნაკბენ კანს  
ბუშტუკოვანი გამონაყარი მოეფინება, სწორედ ისე, როგორც ეს  
ხდება ჭინჭრით დასუსტებისას. ამ დროს ავაღმყოფი შეწუხებულია,  
რაღაგან მას აქვს აჩქარებული გულის ცემა და კუჭ-ნაწლავების  
აშლილობის მოვლენები. ამას იმით ხსნიან, რომ კბენის დროს  
ტკიპას აღამიანის სხეულში შეაქვს შხამი.


გამონაყარსა და ძლიერ ქავილს გამოიწვევენ ის ტკიპებიც,  
რომელიც მუნს შეყრიან კატას, ცხენს, ძალს, ცხვარსა და  
ღორს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტკიპებიც სულ სხვადასხვა სა-  
ხეობას მიეკუთვნებიან.

ზემოთქმულიდანაც კი აშკარაა, თუ რა მრავალი სახეობის  
ტკიპა აჩსებობს და რა დიდ ზიანს აყენებენ ისინი აღამიანს.

## ბლერის ტკიპა

ბლერის ტკიპა კუს ფორმისაა და ჩვეულებრივი თვალიო ძნელად თუ დაინახეს აღამიანი, ისე კი ოდნავ შესამჩნევ მოთეთრო წერტილს წარმოადგენს. ტკიპის შესწავლა ხდება მიკროსკოპით.

ტკიპა დედალ-მამალია. დედალი, მამალთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო მსხვილია (იხ. სურ. 1). ტკიპის თავი, მკერდი



სურ. 1. ბლერის ტკიპა.

1. დედალი; 2. მამალი; 3. კვერცხდება.

და შუცელი გაერთიანებულია, მომრგვალო მოყვანილობისაა. სხეულის ზედა ნაწილი ამობურცულია, დაფარულია განივი ლარებითა და წვეროებით უქინ გადახრილი სამკუთხოვანი ქაცვებით. მუცელი, რომლის ზედაპირი შედარებით ბრტყელია, მოტიტვლებულია. თავი ხორთუმისაა, რომლის ზედა ნაწილზე მოჩანს ხელცე-

რები და ზედა ყბები, ხოლო ქვევით—ქვედა ყბები. ტკიპას წინა ნაწილის გვერდებზე განლაგებულია ორ-ორ წყვილად წინა ფეხები, რომლებიც შედგება შენჯის, ტაბუხის, ბარაჟის, წვივისა და თათებისაგან. ბოლოში თათები თეთშისებრი ბრჭყალებით თავდება. დანარჩენა ორი წყვილი ფეხი მოთავსებულია მუცლის არეში. და მახასიათებელია, რომ ეს უკანასკნელი დედალს გრძელი ჭარბით უბოლოვდება, მამალს კი—წყვილი (შიგნითა—უკანა) მისაწოვრით.

უკანა ტანზე დედალს აქვს ბეჭდისებრი ხერელი (გასანაყოფიერებელი ორგანო), რომელსაც აკრავს ქიტინოვანი რგოლი. მმღლის მუცელზე, მეოთხე წყვილ ფეხთა შორის, გამოყოფილი ნალისებრი მოყვანილობის სასქესო ორგანო.

დედალი ტკიპა, განაყოფიერების შემდეგ, ხელცერების მეშვეობით ეწევა კანის რქოვანი გარსის დაგლეგა-დაშლას, გაიკავავს გზას და ჭერ სილრმეში, ხოლო შემდეგ კანის ზედაპირის გასწვრივ გაიკეთებს ბრმა ხერელს, სადაც ოთხ დღეს დაყოფს და ოთხ კვერცხს დადებს. ოთხი დღის გასვლის შემდეგ განაგრძობს თავის გზას, გაივლის იმდენივე მანძილს, რამდენიც პირველად გაიარა (საერთოდ დღეში მცირე მანძილს გადის), კვლავ ოთხი დღით შეჩერდება ახალ ხერელში და ოთხ კვერცხს დადებს.

თავის სიცოცხლეში, რაც 6—8 კვირა გრძელდება, განაყოფიერებულ დედალს შეუძლია 50-მდე კვერცხის დადება. ხერელში მოძრაობისას დადებულ კვერცხს ტკიპა უკან მიატოვებს. ამასთან, რაც უფრო ახლო კვერცხი ხერელის შესავალთან, მით უფრო მომწიფებულია იგი.

მამალი ტკიპა ცხოვრობს კანის ქერცლის ქვეშ, ნაოჭში და დედლის განაყოფიერების შემდეგ იღუპება. შესაძლებელია, მან საცხოვრებლად გაიკეთოს არა ღრმა ხერელიც.

2—7 დღის შემდეგ ტკიპის კვერცხიდან გამოიჩეკებიან მატლები, რომლებსაც მარტო სამი წყვილი ფეხი დაჲყვებათ (1 წყვილი უკანა ფეხი მათ არ აქვთ). მატლები ორჯერ გამოიცვლიან კანს, სქესობრივად მომწიფებულ პარაზიტებად გადაიქცევიან და განაგრძობენ თავის მოქმედებას.

ბლერის ტკიპის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ აღამიანი კანზე, ურომლისოდაც იგი 2—3 დღეში დაიღუპება. ცხოველების ბლერის გამომწვევი ტყავიჭამია ტკიპა კი, პირიქით, უტყაოდაც განაგრძობს ცხოვრებას 40—60 დღის განმავლობაში.

დაკვირვებამ დაგვანახეა, რომ ტკიპა ძალიან სწრაფად მრავლდება, მოკლე დროში ათეულ ათასობით. აქედან ცხადია, თუ რა რიგ საშიშია იგი ბლერის გავრცელებისათვის.

### ადამიანის დაავადება ბლერით

ბლერის გამოწვევისათვის ყველაზე საშიშია განაყოფიერებული დედალი, რომელიც კანის ზედაპირზე მოხვედრისთანავე დაწყებს ხერელის კეთებას; სამარისია 20—30 წელი, რომ დედალი ტკიპა კანში ჩაძრეს კვერცხის დასადებად. კანზე მოხვედრილ მანგალ ტკიპას კი არ შეუძლია ბლერის გამოწვევა, რადგან იგი, რომ გორუ ვთქვით, იღუპება.

ამრიგად, იმისათვის, რომ ადამიანს ბლერი დაემართოს, ჭანჭალი ადამიანი უშუალოდ უნდა შეეხოს უკადმყოფს.

დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ბლერის გადადება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ჯანსაღმა ადამიანმა დაიძინა ივაღმყოფთან, ისაჩვებლა მისი პირსახოცით, ტანსაცმლით, თუ ჯანსაღი ადამიანი შეეხო ავაღმყოფის ლოგინს და სხვ., ვინაიდან მითზე შეიძლება იყოს ცოცხალი განაყოფიერებული დედალი ტკიპა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანს ბლერი დაემართება აბანოში, სასტუმროში, ავაღმყოფის ნახმარი საცვლებით სარგებლობისას, რბილ ვაგონით მოგზაურობის დროს, თუ საწოლი უზეშროა.

თუ ოჯახის ან კოლექტივის (სკოლა, ბალი, ბაგა, სამქრო და სხვ.) რომელიმე წევრს ბლერი შეეყრება, შესაძლებელია მან ეს სენი უყურადღებობის გამო, სხვებსაც გაღადვას.

### აპალაზოუბის გამოცეობა

პირველი ნიშანი, რომლითაც ბლერი გამოიცნობა, არის დედალი ტკიპის მიერ კანში გაკეთებული ბრმა ხერელი სხვადასხვა სიძრიძისა.

ერთი შეხედვით, იგი მოხრილი ან ლაკლაკნილია, მოყვითალო ნაცრისფერია და ნემსით განაკაწრს ჰგავს.

ტკიპის ხერელს თუ გამაღიდებული შუშით დავხედავთ, დავინახავთ, რომ ხერელის ზევით კანი ოდნავ ამობურცულია. ეს ხერელის სახურავია, რომელიც ერთმანეთისაგან თანხმარი მანძილებით დაშორებული მოშავო წერტილებითაა დაფარული. ეს წერტილები დედალი ტკიპის მიერ გახვრეტილი იღვილებია, სადაც

ს აკერცლების დროს ჩერდება. აქედან ხვრელში ჩადის ჰაერი და, აქედანვე ამოდიან გამოჩეული მატლები. ამ აღვილებს მოშავო ფერს აძლევს მტვერი (ჭუჭყი) და ტკიბის განავალი.

ის აღვილი, სადაც პირველად ტკიბა ჩაძვრა, ლიაა, ხოლო მისი ბოლო დახურული. აქ შენიშვნავთ პატარა ბუშტუკებს უფერული შიგთავსით. თუ ამ აღვილს, ე. ი. ხერელის ბრძან ბოლოს, სადაც ბუშტუკია, ნემსით გავჩევლეტო, იქიდან ტკიბას ამოვიყანთ.

ბლერით დაავადებისას კანზე ხდება მთელი რიგი ცვლილებები, რასაც იწვევს ქავილი. ქავილი ბლერის მეორე და მთავარი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა.

ქავილი დაიწყება მაშინ, როდესაც განაყოფიერებული დედალი ტკიბა შეიძრება კანზი და შეუდეგება ხვრელის კეთებას.

ქავილის მიზეზი ხვრელის გაკეთებაა. ზოგი მეცნიერის აზრით, ქავილს აძლიერებს შხამი, რომელსაც ტკიბა კანზი შესვლისას გამოყოფს.

ქავილი დაიწყება ჯერ იმ აღვილიდან, სადაც ტკიბა შეიძრება. შემდეგ, ქავილით ტკიბის ახალ აღვილზე გადატანასთან და ახალი ტაობის გამოჩეკასთან დაკავშირებით, ქავილის არე თანდათან მატულობს.

შენიშნულია, რომ ქავილი განსაკუთრებით ძლიერდება ღამით, როდესაც ავადმყოფი ლოგიაშია. მაგრამ უნდა ვითქიროთ, რომ ამას ლოგიაში მშვიდად წოლა და სითბო არ იწვევს, რადგან ტხელი სამქროების მუშები, მეფურნეები და ცეცხლფარეშები, რომელნიც ღამის ცვლაში მუშაობენ, აღნიშნავენ ღამით ქავილს გაძლიერებას.

მწვავე ქავილი ანერვიულებს და აანჩლებს აღამიანს, უკარგავს ძილს, რაც იწვევს ძლიერ დაღლილობის და, არც თუ ისე ძრვიათად, შრომის უნარის დაკარგვას. ქავილის გაძლიერებას ღამით იმით ხსნიან, რომ დედალი ტკიბის განაყოფიერება ღამით ხდება, ღამით იკეთებს ის ხვრელს და დებს კვერცხს.

ზოგჯერ ქავილი ღამითაც სუსტი აქვს ავადმყოფს, ხოლო დღისით მას იგი სრულიად არ აწუხებს.

ძლიერი ქავილით, რაც ხდება ფრჩხილით ან სხვა რაიმე საგნით, ავადმყოფი გაიკაწრავს, დაიზიანებს კანს, შეიტანს შიგ ჩირქებად ბაქტერიებს, რის შედეგადაც გლებულობთ კანისათვის ღამია

ხასიათებელ ჭრელ სურათს და ავადმყოფობის გართულებას. ქანს გადაეფარება ხორბლის მარცვლის, და ცოტა მეტი ზომისაც, ჩირქოვანი ბუშტუკები, რომელთაც ხანდახან წითელი ანთებითი ქობა მოიცავს და შეაძისინებას. ამასთან, გასკდება ხვრელის ბოლოში არსებული ბუშტუკი და მის ადგილზე გაჩნდება ქერქი ან ჩირქოვანი ბუშტუკები, რომელიც შესაძლებელია ხანდახან ძირმაგარად ანდა ჩირქოვადაც კი გადაიქცნენ. ასეთ შემთხვევებში დასაშვებია ბღერი გაართულოს ეჭვებამ, თუ ავადმყოფი თავის დროზე არ მიმართავს ექიმს და წესიერად არ იძყურნალებს.

გარდა ბღერისა, ქავიღლს სხვა დაავადებაც იწვევს. მაგალითად, ექზემა, ჭინურის ციება და სხვ., რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ბღერთან. ბღერის გამოცნობა უმეტეს შემთხვევაში აღვილია. მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: პარაზიტის ხვრელების განლაგება კანის ნაზ ადგილებში—ხელებზე (თითებს შუა), თითების გვერდებზე, წელზე, ჭიპის გარშემო, ძუძუს თავზე (ქალებს), გარე სასქესია ორგახოვებზე (უფრო ხშირად, თუ დაავადება სქესობრივი კაცშირის შედეგია).

ბღერის გადასვლა სხვა რაცმე დაავადებად, თუნდაც, ექზემად, შეუძლებელია. ცალკეულ შემთხვევებში ექზემა ბღერის მხოლოდ თანდართული დაავადება.

ბღერის გამოცნობა გვიადვილდება მაშინ, როცა ერთსა და იმავე დროს ოჯახის რამდენიმე წევრია ავად.

### ბღერის მიმღინარეობისათვის

ბღერის მიმღინარეობისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დრო გავიდა დაავადებიდან ავადმყოფობის გამოვლინებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დრო დაავადების სხვადასხვა პირობასთან და მერყეობს. თუ ბღერის ტკიპა დიდი რაოდენობით მოხვდა ჯანსერ კანზი, დაავადება შეიძლება სწრაფად განვითარდეს. ბღერის ხელოვნურად გადატანისას პირველი ნიშნები მე-9-10 დღეს გამოჩნდება, ხოლო დაავადება 12 კვირის გასვლის შემდეგ გავრცელდება. ბღერის გართულების შემთხვევაში (ძირმაგარა, ჩირქოვა) შესაძლებელია ავადმყოფს სიცხეც მისცეს.

ბავშვებში, მეტადრე ჩვილ ბავშვებში, ბღერი თავისებურად მიმღინარეობს: ვრცელდება უფრო სწრაფად, ედება მთელ ტანს, სახეს, კისერს, რასაც მოზრდილებში ვერ ვხდებით. ბავშვებში ბღერი მეტადრე მაშინ განვითარდება, როცა მას დაერთვის ჩირქოვა.

მბადი ბაქტერიებით გამოწვეული გართულება. ამ დროს ბავშვი გაანწელებით იტირებს, ცოტა ხნით აიღებს ძუძუს, დაილლება ტირილით, დიდან ვერ დაიძინებს. ასეთ შემთხვევაში სასწრავიდ უნდა შევმართოთ კანის სნეულებათა ექიმს.

თუ ბლერით დაავადებულს თავის დროზე და წესიერად ვუმკურნალებთ, ტკიპებსა და შათ კვერცხებს მოვსპობთ, ადამიანიც სწრაფად განიკურნება. თუ მკურნალობა დროულად და წესიერად არ ჩატარდა, დარჩენილ კვერცხებისაგან გამრავლდებიან ტკიპები და ავადმყოფს დაავადება შეუბრუხდება.

### გლენის მკურნალობა

ბლერის სამკურნალოდ მრავალი საშუალება მოიპოვება, რომელიც, თუ ბლერი გართულებული არ არის თანდართული ჩირქოვანი ინფექციით, კარგ შედეგებს იძლევა.

ბლერის წინააღმდეგ, ტკიპისა და მისი კვერცხების მოსასპობად, იყენებენ სხვადასხვა შალამოს, უშთავრესად ვილკინსონის მალამოს, რომელიც შეიცავს 30—30 წილ გოგირდსა და კუპრს, 50—60 წილ საპონსა და ღორისის ქონს და 20 წილ ცარცს. გოგირდი სპონს პარაზიტებს, ხოლო დანარჩენი ნივთიერებანი დაარღვევენ კანის მთლიანობას და გაანაღვურებენ ტკიპის ხერელებს.

ავადმყოფი დილა-საღმიოს, ნახევარი საათის განმავლობაში, 3—4 დღე მაღამოთი დაზინელს ტანს (თავისა და სახის გარდა), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ბლერის ტკიპის ჩასახლების აღგილება—სახელდობრ თითებს შუა, მაჯის, მუცლის არეში და სხვაგან. ქალმა, კანი რომ არ გაღიზიანდეს, ფრთხოებულის ნაკეცებში და ძუძუებს ქვეშ. ისედაც გაღიზიანებული კანი ტანის დაბანით კიდევ უფრო რომ არ გაღიზიანდეს, ავადმყოფი 1 დღეს დაისკვნებს და შემდეგ მიიღებს აბაზანას. მაღამოს მოქმედება შეუნელებლად რომ მიმდინარეობდეს, მკურნალობის დღეებში საცვლები არ უნდა და გამოიცვალოს. აბაზანის მრღების შემდეგ საცვლები და ლოგინის თეთრეული უნდა გამოიხარშოს.

შესაძლებელია, რომ ამ წესით ჩატარებულმა მკურნალობამ არ მოგვცეს სასურველი შედეგები. ასეთ შემთხვევაში საჭიროა განვაგრძოთ მაღამოს შეზელა ტანზე. მაგრამ აქ გვმართებს ერთგვარი სიფრთხილე, რადგან მაღამოს ხმარებისას კანი ხშირად

ღიზიანდება, რაც ქავილს იწვევს. გაღიზიანებული კანის სამკურნალოდ დამატებით მაღამოს ხმარობენ, მაგრამ ჩვილ ბავშვსა და თირკმელებით ავადმყოფს ამ საშუალებით არ მკურნალობენ, ვინაიდან იგი თირკმელებზე გამაღიზიანებლად მოქმედებს.

სკოლიმდელი ასაკის ბავშვებს დაუნიშნავენ 50%-იან ვილკინსონის მაღამოს.

ბლერის სამკურნალოდ აგრეთვე ხმარობენ გოგირდის საპონს, (50 გრამი სარეცხის საპონი, 125 გრამი გოგირდის ფხვნილი, 50 გრამი წებო, 200 გრამი ფქვილი და სახამებელი, 350 გრამი წყალი), რომელსაც 15 წუთის განმავლობაში შეუზელენ ავადმყოფს დღეში ორჯერ 3 დღის განმავლობაში. თითო შეზელაზე საჭიროა 1 ხასის ჭიქა ან ჭიქანახევარი გოგირდის საპონი. მეოთხე დღეს ავადმყოფი დაიბანს და საცვლებს გამოიცვლის.

როგორც ვთქვით, ბლერის სამკურნალოდ ვილკინსონის მაღამოს გარდა, მრავალი სხვა საშუალებაა. მაგალითად, 20—30%-იანი გოგირდის მაღამო, პერუს ბალზამის მაღამო და სხვ., რომელთა უპირატესობა ისაა, რომ ვილკინსონის მაღამოსთან შედარებით, ნაკლებად გამოყოფენ არასასამოვნო სუნს. სამაგიეროდ, მათი მოქმედება სუსტია და ხმარება უფრო სწნერძლივად არის საჭირო.

ბლერის მაღამოს უარყოფითი თვისება ისაა, რომ მას ცუდი სუნი უდის და შეკურნალობისას საცვალს სცრის, თანაც, მკურნალობა 4—5 დღეს გრძელდება. ამიტომ შეცნიერებმა კარგა ხანია ამოცანად დაისახეს უფრო სწრაფო მოქმედები, უკნებელი და მარტივი საშუალების მოპოვება. ამ მხრივ ფლემინგის სითხეს ბლერის მკურნალობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი მოქმედების სისტრაფეს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს. მის ასე ამზადებებს: 40 წილ ჩამქრალ კარს ააღუღებენ წყლაში, ვიდრე არ დაიფხვნება, შემდეგ დაუმატებენ 80 წილ გოგირდს, 800 წილ წყალს და მთელ ნარეგს აღუღებენ განახევრებამდე.

ფლემინგის სითხის შეზელვამდე ავადმყოფება ტან უნდა დაიბანოს. ხსნარის შეზელა ხდება 20—30 წუთის განმავლობაში, რის შემდეგ ავადმყოფი ტანს დაიბანს და საცვლებს გამოიცვლის.

ბლერის წინააღმდეგ ყველაზე უკეთესია მკურნალობა პროფ. მ. პ. დემიანოვიჩის წესით—თირსულფატის 60%-იანი ხსნარის (ხმარობენ ფოტოგრაფიაში ფირფატების ფიქსაციისათვის) და მარილმჟავა ხსნარის შენაცვლებითი ხმარება.

თირსულფატის 60%-იანი ხსნარის შესამზადებლად პილებენ

60 წალ თიოსულფატსა და 40 წილ წყალს, ხოლო მარილმჟავას 6%-იანი ხსნარის მოსამზადებლად—6 წილ სუფთა მარილმჟავასა და 94 წილ წყალს. სუფთა მარილმჟავას ნაცვლად, შეიძლება ავი-ლოთ გამზავებული მარილმჟავა (1 წილი მარილმჟავა და 2 წილი წყალი), მაგრამ ამ შემთხვევაში 6%-იანი ხსნარის შესამზადებლად საჭიროა 18 წილი გამზადებული მარილმჟავა და 82 წილი წყალი.

60%-იანი თიოსულფატის შეზელა ჩატარდება თბილ შენობა-ში, მორელ ტანზე (თავის გარდა) კისრიდან კოჭებამდე. ამასთან, უნდა დავიცვათ ისეთი თანმიმდევრობა, რომ ხელ-ფეხსა და ტა-ნის წინა-უკანა ნაწილს მოუნდეს თვითეულს რა-ორი წუთი, სულ 12 წუთი. შეზელა საჭიროა მხნედ, მეტადრე ბღერის გამოვ-ლინების ადგილებში. ბავშვებს თიოსულფატს შეუზელენ მშობ-ლები, ან მედიცინის მუშავები.

პირველი შეზელის დამთავრებისას ავადმყოფი შეისვენებს შესაშრობად, რის შემდეგ მთელი ტანი დაიფარება კრისტალური თიოსულფატით. ამავე წესით გამეორდება თიოსულფატის შეზელა, რაც 10 წუთს გასტანს.

თიოსულფატის გამეორებით ხმარებისა და შეშრობის შემ-დევ, შეუდგებან მარილმჟავას შეზელას, ტანის ყველა ნაწილზე, როგორც თიოსულფატის გამოყენებისას, მხოლოდ თითო წუთის განმავლობაში (სულ 6 წუთი), შეშრობისას კიდევ სამჯერ შეიზე-ლენ, ე. ი. სულ 4-ჯერ. ყოველი წასმის შემდევ ავადმყოფი ისვე-ნებს, ვიდრე არ შეაშრება მარილმჟავა.

შეზელის დამთავრების შემდევ ავადმყოფი გამოიცვლის საც-ვალს და მეოთხე დღიდან დაბანს ტანს.

ბღერის წინააღმდევ საქმარისია 1 ასეთი კურსის ჩატარება და თუ შედეგი ვერ მივიღეთ, შეიძლება მკურნალობის განგრძობა, მაგრამ 3—4 დღის გასვლის შემდევ. საჭირო ხდება მკურნალობის მესამედაც ჩატარება, თუმცა მეტად იშვიათად.

წამლის მოქმედება ტკბის კვერცხებზე გაგრძელდება სწორედ იმ 3 დღის განმავლობაში, როდესაც ავადმყოფს აკრძალული აქვს მისი ჩამოგანა.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების მკურნალობისას (ორივე მეთო-ლით) ხდარობენ შედარებით ნაკლებად ძლიერ პრეპარატებს: 60%-იან თიოსულფატს, 30%-იან ბისულფატსა და 3%-იან მა-რილმჟავას.

მკურნალობის ამ წესს, სხვებთან შედარებით, ის ფარისტესო-

ბა ენიჭება, რომ მის გამოყენებისას წამალი მეტად სწრაფად შოქ-  
მედებს, სულ საჭიროა 40—60 წუთი, კანს არ აზიანებს, საცვლებს  
არ სცრის და ავადმყოფზე უარყოფით გავლენას არ ახდენს. ამ  
წესით მცურნალობა ბავშვებსაც კრძალ გადააქვთ.

## ბლენის მკურნალობის პრალი წესი


ამ ბოლო დროს პროფ. პ. გ. ბუაჩიძემ ბლენის სამკურნალოდ  
გამოიყენა შხამის ნახარში.

შხამა—აპუტარაკი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენა-  
რეა, რომელსაც სქელი და მოკლე ფესურა აქვს. ფესურაზე  
განვითარებულია მოყვითალო შეფერილობის ფესვები. მისი სქე-  
ლი და მრავალფოთლოვანი ღეროს ზედა ნაწილი შებუსვილია,  
ხოლო ქვედა ნაწილი ქველი ფოთლების ნარჩენებითაა შემოსილი  
(იხ. სურ. 2).

ქვედა ფოთლი, რომელიც დიდი ზომის, მომრგვალო მოყვა-  
ნილობის, წვერში წაწვეტილი და ფუძეშევიწროვებულია, ყუნწად  
გადადის და ღეროს ესვევა. ქვემო შერიდან შებუსვილ ფოთლებზე  
მკეთრად გამოსახულია ძარღვები. ზედა ფოთლები შედარებით  
ვიწრო, გრძლად წაწვეტილი და მჯდომარეა. ყვავილები შეკრები-  
ლია საგველანაირ ყვავილედად, რომლის ღერძი და ყვავილის  
ყუნწები ხშირი ბუსუსითა მოფენილი. ყვავილსაფარი არის გვირ-  
გვინისებრი, მომწვანო-მყვითალო, ყუნწებ რამდენჯერმე გრძე-  
ლი, იგი ყვავილობის შემდეგ ზედვე რჩება. ნაყოფი სამბუდიანია,  
თესლი მოყვითალო, ბრტყელი და ფრთიანი. შხამა ყვავის ივლისსა  
და აგვისტოში. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, მეტადრე ნორ-  
ჩობაში.

მშრალი ფესურას გემო მწარეა, მხურვალე და მწვავე. ფესუ-  
რა პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებაა და შეითლობაში იხ-  
მარება, როგორც ამოსახველებელი და პირიდან მასაქმებელი. ხალ-  
ხურ მედიცინაში მას ძველ ღროიდანვე ხმარობდნენ მუნის, ანუ  
ბლერის სამკურნალო. შხამა საქართველოში მეტად გავრცელე-  
ბული მცენარეა. მაღალ მთების საძოვრებზე აბეზარი სარეველთა-  
განის.

შხამის ფესურას აგროვებენ შემოღვომაზე, რაღგან მოქმედ  
ნივთიერებათა რაოდენობა ამ ღროს მასში ბევრია. ფესურის შეგ-  
როვება ხდება მზიან ამინდში, ფესურას შემოაცლიან მიწას,



სურ. 2. შხაბა (აპლტარაკი).

1. ნაყოფი, 2. ღერო ფესურათი და ფესვებით, 3. ყვავილი, 4. ყვავილები.

წვრილ ფესვებს, ასრობენ ჩრდილში, შესაფერის სხვენზე, საღაც ჰაერის მოძრაობა კარგია. ოთახში გაშრობა დაუშვებელია, რაღაც აღიზიანებს სასუნთქ თრგანოების ლორწოვან გარსს და იწვევს ცხვირისცემინებას. გაშრობა უნდა წარმოებდეს სკეპიდან დაშორებით, რაღაც შეამასაგან ფუტკარი იღუპება. დაფხვნისა და შეფუთვისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, პირისა და ცხვირის ახვევა, საპნით ხელის დაბანვა, თვალების დაცვა და სხვ.

სუთი წილი ნედლი შეამა იძლევა სამ წილ მშრალ მასალას. სასურველია, შეგროვილი მასალა იმავე წელს მოგხმაროთ, რაღაც გან დროთა განმავლობაში იგი მოქმედების სიძლიერეს კარგავს. შეამას გეგმური დამზადება ფერწერობით ხდება ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ბორჯომის, ღუშეთის, ყაზბეგის და ადიგენის რაიონებში. საჭიროა საქართველოს სხვა რაიონებშიაც გამოვავლინოთ შეამას გავრცელების ფართობები.

პროფ. პ. გ. ბუაჩიძის მიერ მოწოდებული წესით შეამას ნახარში შემდეგნაირად ამზადებენ: ერთ კილოგრამ გარეცხილ შეამას ძირებს დასახამენ ექვს ლიტრ წყალს და ნელ ცეცხლზე აღუღებენ, ვიდრე წყალი ნახევარს არ დაშრობს. გაწურვის შემდეგ მას აძლევენ ავაღმყოფს. შეამას ნახარშის გაცემა ხდება ექიმის რეცეპტით აფთიაქიდან 200—300 გრამის რაოდენობით.

## როგორ უნდა ვიხმაროთ შხამას ნახარში

ხმარების წინ ნახარში კანისათვის სასიმოვნო ტემპერატურამდე უნდა შევათბოთ და ავაღმყოფს შევუზილოთ მთელ ტანზე (გარდა სახისა). შეზელის შემდეგ ავაღმყოფი სუფთა საცვალს ჩითცაშ და გამოიცვლის ლოგინის თეთრეულს. ავაღმყოფმა ტანი უნდა დაიბანოს სამი ღლის შემდეგ.

ვინაიდან ნახარში შხამს შეიიავს, ამ საშუალებით 5 წლის ასაკამდე ბავშვების მკურნალობა არ შეიძლება. საჭიროა მეძიებული დედის გაფრთხილება, რომ ნახარშის წასმის შემდეგ მოუწმენდლად ძუძუ ბავშვს არ მისცეს. ამასთან, უმჯობესია ჩიილაბევშიანმა დედამ მკურნალობა ჩაატაროს დამით, როცა ბავშვს შუბუს წოვების შემდეგ დააძინებს.

რა უპირატესობა აქვს პროფ. პ. გ. ბუაჩიძის მიერ შემუშავებულ ბლერის მკურნალობის ახალ წესს?

წამლის შესაზღვად საქმარისია 10 წუთი და თვით წამალი აღ-

ვილი სახმარი, შესამზადებელი და იაფია, შხამის ნახარშს არა აქვს სუნი და იგი არაფერს არ აძლევსანებს. მკურნალობა იძლვება კარგ შედეგებს—100 ავალყოფილან 95 პერცავს.

ჩა საშუალებითაც არ უნდა ტარღებოდეს მკურნალობა, თუ ბლერი გართულებულია კანის ჩირქოვანი ანთებით, პირველად საჭიროა ამ უკანასკნელის წამლობა, ე. ი. კანს ჩირქმბადი ბაქტერიებით გამოწვეული მოვლენების მოსპობა და შემდეგ საკუთრივ ბლერის მკურნალობა. ამსათვის ხმარობენ ვოგირდსალიცილიუმის მაღამოს და სხვა საშუალებებსაც.

## რა მნიშვნელობა აქვს გლენთან ბრძოლას

ბლერი მეტად გავრცელებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში, მეტადრე კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სადაც მშრომელთა მატერიალური პირობები მძიმეა. მაგალითად, გომინდანის ჩინეთში ბლერით დაავადებული იყო მოსახლეობის მესამედი, ისლანდიაში—თითქმის ნახევარი.

რევოლუციამდელ რუსეთში, სადაც მოსახლეობის კულტურულ-მატერიალური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ცუდი იყო, არასრული ცნობებით, ყოველ 10 ათას სულ ადამიანზე მოდიოდა ბლერით დაავადებული: 1895 წელს 123 კაცი, 1900 წელს —238, 1905 წელს—249, 1910 წელს—271 და 1913 წელს—337 კაცი. დაავადებულთა ცხრა მეათედს სოფლის მცხოვრებნი შეადგნენ. უნდა კითიქროთ, რომ ავალყოფთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან იმ დროს მკურნალობა ფასიანი იყო და ყველას როდი ჰქონდა მისი საშუალება, რომ ექიმისათვის მიემართა.

გერმანელ ფაშისტ დამპურობთა მიერ დროებით ოკუპირებულ ჩაიონებში, სადაც მოსახლეობა სიღარაესა და უბინაობას განიცდიდა და სამედიცინო დახმარებას მოელებული იყო, ბლერით დაავადებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

საბჭოთა კავშირში, სადაც მოსახლეობის კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობა დღითადღე უმჯობესდება, ბლერით დაავადება შედარებით იშვიათია.

ხელისუფლების და პარტიის ყოველდღიური ყურადღების და მშრონეველობის შედეგად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის სწრაფად ამაღლებასთან ერთად, ფარ-

*K 576*  
თოდ ინერგება სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევები, სწრაფად ვითარდება სოფლად აბანოების მშენებლობა.

მოსახლეობა უზრუნველყოფილია უფასო და ყველასათვის სელმისაწვდომი საექიმო დამარცხით.

ბლერით დაავადების წინააღმდეგ ბრძოლას ეწევან და სამკურნალო და გამაფრთხილებელ ღონისძიებებს ატარებენ საავადმყოფები და მმპულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სამედიცინო მუშაკები. როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ყველა სამედიცინო დაწესებულებას ბლერთან ბრძოლის საქმეში ხელმძღვანელობას უწევენ კანისა და ვენერულ სწორულებათა ღისპანერები, რომლებიც აგრეთვე თვით ატარებენ, როგორც მკურნალობას, ისე პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

უკეთუ ბლერით დაავადებულ ივაღმყოფთან სხვებიც ცხოვრობენ, მათ გამოუქახებენ ხოლმე ექიმთან შემოწმებისა და, საჭირო შემთხვევაში, მკურნალობის ჩასატარებლად. თუ ავაღმყოფთან მცხოვრები ან მასთან ურთიერთობაში მყოფი პირის გამოძხება ვერ მოხეხრდა, მაშინ ადგილზე შესამოწმებლად გაიგზავნება ექიმის თანაშემწერ, რომელიც დაავადების გამოვლინების შემთხვევაში ავაღმყოფთან ერთად უმჯურნალებს ამ პირსაც.

ბლერის გადადების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ავაღმყოფი ცალკე იწვეს, მოერიდოს ხელის ჩამორთმევას; ამასთან, მისი ნივთები სხვებმა არ უნდა იხმარონ.

ავაღმყოფობის აღრეული გამოვლინება და მკურნალობა ბლერის გავრცელებასთან ბრძოლის უპირველესი საშუალებაა. ტკიპების დასახოცად, ავაღმყოფის საცვლები გარეცხვის შემდეგ უნდა გამოიხარშოს. ზედა ტანსაცმელი, რომელიც ვერ გაირეცხება, უნდა გაიფინოს 7 დღეს, რაღაც ტკიპა კანის გარეშე იღუპება, ანდა უმჯობესია წალმა-უკუღელმა დაუთოვდეს ცხელი უთოთი. ტანსაცმელი და ლოგინი, სადაც ქი ეს მოსახერხებელია, უნდა გატარდეს საღეზინფექცია კომერში.

ბლერთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების, საბავშვო ბაღების, ბავშვთა ბაგების, აბანოების, კვების მრეწველობის და ზოგიერთი სხვა დარგის მუშაკთა წმირ საყველთაო საექიმო შემოწმებას, რასაც კანისა და ვენერულ სწორულებათა ღისპანერები ატარებენ.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობა იცნობდეს გარამონდ სწორულე-

შებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს, ჩვენში ფართოდათ  
ჰაშლილი სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

მედიცინის მუშაკები ატარებენ ლექციებსა და საუბრებს, გა-  
მოყენებულია რალიო, კინო, დიდი რაოდენობით იბეჭდება ბრძო-  
შურები, პლაკატები და სხვ.

მართალია, ბლერი ადამიანის სიცოცხლისათვის პირდაპირ  
საფრთხეს არ წარმოაღენს, მაგრამ იგი მეტად არასასიამოვნო  
დაავადებაა მისი ღამხასიათებელი ნიშანთვისების—ქავილის გამო  
და იწვევს შრომის უნარის ნაწილობრივ დაკარგვას.

ბლერთან ბრძოლას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს  
და ამიტომ ამ საქმეში უნდა ჩაებას ყველა მოქალაქე. რაც უფრო  
მალე მიმართავს ავაღმყოფი ექიმს, მით უფრო სწრაფად განიკურ-  
ნება იგი ბლერისაგან და უკვე აღარ იქნება ეს სენი საშიში გარშე-  
მომყოფათვის, როგორც დავადების წყარო.



## ს პ რ ჩ ი ზ ი

8396.

რა იწვევს ბლერს . . . . .	3
ბლერის ტკიბა . . . . .	5
ადამიანის დაუგადება ბლერით . . . . .	7
ავადმყოფობის გამოცნობა . . . . .	7
ბლერის მამდინარეობა . . . . .	9
ბლერის მკურნალობა . . . . .	10
ბლერის მკურნალობის ახალი წესი . . . . .	13
როგორ უნდა გიხმაროთ შხამის ნახარში . . . . .	15
რა მნიშვნელობა აქვს ბლერთან ბრძოლას . . . . .	16

---

რედაქტორი პროფ. პ. ბუაჩიძე  
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1,12  
საალტენციო ფორმათა რაოდენობა 1,02

შეკვეთა 558

ტრაქი 10.000

ჭვ 15930

საქმედეგამის I სტამბა. თბილისი, აკ. წერეთლის ქუჩა № 35